

ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ციფრული ტრანსფორმაცია და სასაქონლო-მატერიალური მარაგების კონტროლის გამომწვევები საქართველოში

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2026.01.07>



იური პაპასკუა

ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, <https://orcid.org/0000-0002-7849-2426>
E-mail: papaskuauri@gmail.com



დავით ჯოგლიძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების დოქტორანტი <https://orcid.org/0009-0008-2918-564X>
E-mail: d.joglidze@ants.ge

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ციფრული ტრანსფორმაციის გავლენა ფინანსური ინფორმაციის ხარისხსა და სასაქონლო-მატერიალური მარაგების კონტროლის ეფექტიანობაზე საქართველოში. კვლევის მიზანია შეფასდეს, რამდენად უწყობს ხელს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები - ERP სისტემები, ხელოვნური ინტელექტი (AI), ღრუბლოვანი პლატფორმები და ბლოკჩეინი — მარაგების კონტროლის, ფინანსური გამჭვირვალობისა და საოპერაციო ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

კვლევა ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზს, საქართველოში არსებული პრაქტიკული პრობლემების შეფასებასა და სასაქონლო-მატერიალური მარაგების მართვის სისტემურ ხარვეზებზე დაკვირვებით მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ გარემოებას, რომ ქართული ბიზნეს-სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ იყენებს ფრაგმენტულ და არასრულად ინტეგრირებულ საბუღალტრო სისტემებს, რაც იწვევს ინფორმაციულ ასიმეტრიას, თვითღირებულების არაზუსტ გაანგარიშებასა და ფინანსური რისკების ზრდას.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის ციფრული ტრანსფორმაცია აღარ წარმოადგენს მხოლოდ ტექნოლოგიურ ინოვაციას; იგი ფინანსური მდგრადობის, ეფექტიანი ფასწარმოქმნისა და ეკონომიკური გამჭვირვალობის აუცილებელ წინაპირობად ყალიბდება. სტატიაში წარმოდგენილია რეკომენდაციები ERP სისტემების ინტეგრაციის, ციფრული კომპეტენციების განვითარების, Cloud Accounting-ის გავრცელებისა და სასაქონლო-მატერიალური მარაგების კონტროლის თანამედროვე მექანიზმების სრულყოფისთვის.

კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ სასაქონლო-მატერიალური მარაგების კონტროლის პრობლემები განხილულია არა მხოლოდ საოპერაციო ან ლოგისტიკური ჩრილიდან, არამედ ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ციფრული ინტეგრაციის კონტექსტში. სტატიაში ციფრული ტრანსფორმაცია წარმოდგენილია როგორც ფინანსური ინფორმაციის ხარისხის, მარაგების კონტროლის ეფექტიანობისა და მენეჯერული გადაწყვეტილებების გაუმჯობესების კომპლექსური მექანიზმი.

საკვანძო სიტყვები: ბუღალტრული აღრიცხვა; ციფრული ტრანსფორმაცია; ERP სისტემები; სასაქონლო-მატერიალური მარაგები; მარაგების კონტროლი; ხელოვნური ინტელექტი; Cloud Accounting; ფინანსური გამჭვირვალობა; ბლოკჩეინი.

DIGITAL TRANSFORMATION OF ACCOUNTING SYSTEMS AND CHALLENGES OF INVENTORY CONTROL IN GEORGIA

Iuri Papaskua

Academic Doctor of Economic Sciences, Professor of Sukhumi State University
<https://orcid.org/0000-0002-7849-2426>
Email: papaskuaiuri@gmail.com

David Jogleidze

Doctoral student in Business Administration at Sukhumi State University
<https://orcid.org/0009-0008-2918-564X>
E-mail: d.jogleidze@ants.ge

ABSTRACT

The digital transformation of accounting systems has become one of the most significant determinants of financial information quality and business process efficiency in the modern economic environment. This issue is particularly relevant in the area of inventory control, where delayed information, incomplete system integration, and fragmented accounting models generate substantial operational and financial risks.

The purpose of this study is to evaluate the impact of the digital transformation of accounting systems on the effectiveness of inventory control in Georgia. The research is based on a mixed methodological approach that incorporates the analysis of international academic literature, the assessment of the functional capabilities of modern digital technologies — including ERP systems, Artificial Intelligence (AI), cloud-based platforms, and blockchain technologies — as well as the examination of practical challenges within the Georgian business sector.

The findings indicate that a significant number of Georgian enterprises still rely on partially integrated accounting systems, which complicates real-time inventory control, accurate cost determination, and the timely processing of financial information. The study demonstrates that the integrated implementation of digital technologies substantially reduces information asymmetry, improves the accuracy of financial data, and enhances operational transparency.

The article develops recommendations for the modernization of accounting systems, the integration of ERP platforms, the development of digital competencies, and the implementation of modern inventory control mechanisms. The results of the study may be utilized by business entities, regulatory bodies, and professional institutions to improve financial management systems and strengthen economic transparency.

The scientific contribution of the study lies in linking inventory control challenges with the level of digital integration of accounting systems in the context of the Georgian business environment.

Keywords: Accounting; Digital Transformation; Inventory Control; ERP Systems; Artificial Intelligence (AI); Cloud Accounting; Blockchain; Financial Transparency.



შესავალი

თანამედროვე ეკონომიკურ გარემოში ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ეფექტიანობა სულ უფრო მეტად დამოკიდებულია ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციის ხარისხზე. ფინანსური ინფორმაციის ოპერატიულობა, სიზუსტე და გამჭვირვალობა ბიზნესის კონკურენტუნარიანობის, ინვესტორთა ნდობისა და ეკონომიკური მდგრადობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად ჩამოყალიბდა [1]. გლობალური ეკონომიკის ციფრულ ტრანსფორმაციასთან ერთად, ტრადიციული ბუღალტრული აღრიცხვის მოდელები ეტაპობრივად იცვლება ინტეგრირებული ციფრული სისტემებით, რომლებიც უზრუნველყოფს ფინანსური მონაცემების რეალურ დროში გენერირებას, დამუშავებასა და ანალიზს [2].

მსგავსი ტენდენციები განსაკუთრებით აქტუალურია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის, სადაც ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ტექნოლოგი-

ური მოდერნიზაცია ფინანსური გამჭვირვალობისა და ბიზნეს-პროცესების ეფექტიანობის მნიშვნელოვან წინაპირობად განიხილება.

საერთაშორისო პრაქტიკაში ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების მოდერნიზაცია დაკავშირებულია ERP (Enterprise Resource Planning) პლატფორმების, ხელოვნური ინტელექტის (Artificial Intelligence – AI), ღრუბლოვანი ტექნოლოგიებისა (Cloud Technologies) და ბლოკჩეინის გამოყენებასთან [3]. ეს ტექნოლოგიები ამცირებს მონაცემთა დამუშავების დროს, აუმჯობესებს ფინანსური ინფორმაციის სიზუსტეს და ამცირებს ადამიანური ფაქტორით გამოწვეული შეცდომების რისკს [4]. თანამედროვე მიდგომები ეფუძნება „უწყვეტი აღრიცხვისა“ და „რეალურ დროში ფინანსური კონტროლის“ პრინციპებს, რაც ფინანსურ ინფორმაციას სტატიკური საანგარიშგებო დოკუმენტის ნაცვლად მუდმივად განახლებად საინფორმაციო სისტემად გარდაქმნის [5].

აღნიშნული პროცესები განსაკუთრებულ მნიშვნე-

ლობას იძენს სასაქონლო-მატერიალური მარაგების მართვის მიმართულებით. მარაგების კონტროლი ფინანსური მართვის ერთ-ერთ კრიტიკულ კომპონენტს წარმოადგენს, რადგან იგი განსაზღვრავს თვითღირებულების სიზუსტეს, ფასნარმოქმნის ეფექტიანობასა და ბიზნესის საოპერაციო მდგრადობას [6]. არასრულყოფილი აღრიცხვის პირობებში კომპანიები ხშირად აწყდებიან მარაგების რეალურ დროში კონტროლის პრობლემას, რაც ინვესტორებს ინფორმაციულ ასიმეტრიას, ფინანსური მონაცემების დაგვიანებასა და მენეჯერული გადაწყვეტილებების ეფექტიანობის შემცირებას [7].

საქართველოს ბიზნეს-სექტორში აღნიშნული საკითხი განსაკუთრებული სიმწვავეთ ვლინდება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ პროგრესი აჩვენა საგადასახადო ადმინისტრირების ციფრულიზაციის მიმართულებით, კერძო სექტორში შიდა ბუღალტრული და საოპერაციო სისტემების ინტეგრაციის ხარისხი კვლავ შეზღუდულია [8]. მრავალი კომპანია კვლავ იყენებს ფრაგმენტულ საბუღალტრო პროგრამებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს მარაგების მოძრაობის, რეალიზაციისა და ფინანსური მაჩვენებლების სინქრონიზებულ ასახვას. შედეგად, იქმნება „ინფორმაციული ვაკუუმი“, როდესაც მენეჯმენტი ვერ ფლობს ზუსტ და ოპერატიულ ინფორმაციას სასაქონლო-მატერიალური მარაგების მდგომარეობის შესახებ. ეს გარემოება ართულებს მარაგების ზუსტ კონტროლს, ზრდის საგადასახადო და ფინანსური რისკების ალბათობას და ამცირებს მენეჯერული გადაწყვეტილებების ეფექტიანობას.

პრობლემის პრაქტიკული სიმწვავე გამოიკვეთა ბაზარზე არსებული მარაგების კონტროლის სისტემური ხარვეზების შეფასების პროცესშიც, სადაც მრავალი ბიზნეს-სუბიექტი მიუთითებდა რეალურ დროში ნაშთების განსაზღვრის სირთულეზე [9]. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ პრობლემა არ შემოიფარგლება მხოლოდ ტექნიკური ან ლოგისტიკური საკითხებით; იგი უკავშირდება ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობასა და მონაცემთა ინტეგრაციის დაბალ ხარისხს.

წინამდებარე სტატიის მიზანია ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ციფრული ტრანსფორმაციის გავლენის შეფასება სასაქონლო-მატერიალური მარაგების კონტროლის ეფექტიანობაზე საქართველოში. კვლევა ფოკუსირებულია თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ფუნქციური შესაძლებლობების, არსებული პრაქტიკული გამოწვევებისა და ფინანსური ინფორმაციის მართვის პროცესში მათი გამოყენების პერსპექტივების ანალიზზე.

კვლევის ჰიპოთეზა ეფუძნება მოსაზრებას, რომ ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების კომპლექსური ციფრული ტრანსფორმაცია აუმჯობესებს მარაგების კონტროლის ხარისხს, ამცირებს ინფორმაციულ ასიმეტრიას და ზრდის ფინანსური მონაცემების სიზუსტესა და გამჭვირვალობას. შესაბამისად, ERP სისტემების, ხელოვნური ინტელექტისა და სხვა ციფრული პლატფორმების ინტეგრირებული გამოყენება წარმოადგენს

თანამედროვე ბიზნეს-გარემოში ეფექტიანი ფინანსური მართვის აუცილებელ წინაპირობას.

ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო

ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ციფრული ტრანსფორმაცია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება, როგორც ფინანსური ინფორმაციის მართვის სისტემების განვითარების ახალი ეტაპი, რომელიც დაკავშირებულია მონაცემთა ინტეგრაციის, ავტომატიზაციისა და ანალიტიკური შესაძლებლობების გაფართოებასთან [10]. მკვლევართა ნაწილი მიუთითებს, რომ ტრადიციული ბუღალტრული აღრიცხვის მოდელები ვეღარ პასუხობს ციფრული ეკონომიკის მოთხოვნებს, სადაც ფინანსური ინფორმაცია უნდა ხასიათდებოდეს არა მხოლოდ სიზუსტით, არამედ ოპერატიულობითა და უწყვეტი განახლების შესაძლებლობით [11].

საერთაშორისო კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ERP (Enterprise Resource Planning) სისტემებს, რომლებიც ბუღალტრულ აღრიცხვას აკავშირებს საწარმოს სხვა საოპერაციო პროცესებთან [12]. ინტეგრირებული ERP პლატფორმები უზრუნველყოფს მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირებას, ამცირებს ინფორმაციის დუბლირებას და ზრდის ფინანსური მონაცემების სანდოობას [13]. ეს მიდგომა განსაკუთრებით აქტუალურია სასაქონლო-მატერიალური მარაგების მართვის პროცესში, სადაც მონაცემთა დაგვიანება ან ფრაგმენტულობა პირდაპირ აისახება თვითღირებულების გაანგარიშებასა და ფასნარმოქმნის სიზუსტეზე [14].

თანამედროვე კვლევები ასევე ყურადღებას ამახვილებს „უწყვეტი აღრიცხვის“ (Continuous Accounting) კონცეფციაზე, რომლის მიხედვითაც ფინანსური ინფორმაცია რეალურ დროში მუშავდება და ხელმისაწვდომი ხდება მენეჯერული ანალიზისთვის [15]. ეს მიდგომა ფინანსურ ანგარიშგებას სტატიკური საანგარიშგებო დოკუმენტის ნაცვლად მუდმივად განახლებად საინფორმაციო სისტემად გარდაქმნის, ამცირებს ინფორმაციულ ასიმეტრიას და აუმჯობესებს ფინანსური კონტროლის ხარისხს.

ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების მოდერნიზაციის პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება ხელოვნურ ინტელექტსა (Artificial Intelligence – AI) და პროცესების რობოტიზებულ ავტომატიზაციას (Robotic Process Automation – RPA). კვლევები ადასტურებს, რომ ეს ტექნოლოგიები ამცირებს რუტინული ოპერაციების მოცულობას, აუმჯობესებს მონაცემთა დამუშავების სისწრაფეს და ამცირებს ადამიანური შეცდომების ალბათობას [16]. AI-ზე დაფუძნებული ანალიტიკური სისტემები შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს ფინანსური ანომალიები, მარაგების მოძრაობაში ატიპიური ცვლილებები და ფინანსური რისკების პოტენციური ნიშნები [17].

საერთაშორისო სამეცნიერო დისკურსში ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბდა ბლოკჩეინ-ტექნოლო-

გიებისა და „სამმაგი ჩანერის“ (Triple-entry Accounting) კონცეფციის კვლევა [18]. ეს მიდგომა ბუღალტრულ მონაცემებს უცვლელ და გამჭვირვალე ციფრულ რეესტრში აფიქსირებს, რაც ამცირებს მონაცემთა მანიპულირების შესაძლებლობას და ზრდის ფინანსური ინფორმაციის სანდოობას [19].

ქართული სამეცნიერო და პროფესიული სივრცეებში ციფრული ტრანსფორმაციის საკითხები შედარებით ნაკლებად არის დამუშავებული, თუმცა ბოლო წლებში ყურადღება იზრდება ფინანსური აღრიცხვის სისტემების მოდერნიზაციის, ERP ტექნოლოგიების დანერგვისა და ფინანსური გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიმართულებით [20]. საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) ანგარიშებში ხაზგასმულია ციფრული მიდგომების განვითარების საჭიროება, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში [21].

ამასთანავე, ქართულ ბიზნეს-სექტორში სასაქონლო-მატერიალური მარაგების კონტროლის პრობლემები კვლავ ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად რჩება. მრავალი კომპანია კვლავ იყენებს ფრაგმენტულ საბუღალტრო პროგრამებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს მარაგების მოძრაობის, რეალიზაციისა და ფინანსური მაჩვენებლების სრულ ინტეგრაციას. ეს გარემოება ზრდის ინფორმაციულ ასიმეტრიას, ართულებს თვითღირებულების ზუსტ განსაზღვრას და ამცირებს ფინანსური გადანყვეტილებების ეფექტიანობას [22].

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ლიტერატურაში ფართოდ არის განხილული ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ციფრული ტრანსფორმაციის ტექნოლოგიური ასპექტები, შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სასაქონლო-მატერიალური მარაგების კონტროლის პრაქტიკულ გამოწვევებსა და ციფრული ინტეგრაციის პრობლემებს. ეს გარემოება განაპირობებს კვლევის საჭიროებას საქართველოს ბიზნეს-გარემოს სპეციფიკის გათვალისწინებით.

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს თვისებრივ და ანალიტიკურ კვლევის მეთოდებს. კვლევის პროცესში გამოყენებულია საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურის, პროფესიული ანგარიშების, ნორმატიული დოკუმენტებისა და საქართველოში არსებული პრაქტიკული გამოცდილების შედარებითი ანალიზი.

კვლევის თეორიული საფუძვლის ფორმირების მიზნით შესწავლილი იქნა ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ციფრული ტრანსფორმაციის, ERP პლატფორმების, ხელოვნური ინტელექტის, პროცესების ავტომატიზაციისა და ბლოკჩეინ-ტექნოლოგიების შესახებ არსებული სამეცნიერო ნაშრომები და პროფესიული გამოცემები [23]. ლიტერატურის ანალიზის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სასაქონლო-მატერიალური მარაგების კონტროლის მექანიზმებზე, მონაცემთა შეუსაბამობის შემცირების

ინსტრუმენტებსა და ფინანსური მონაცემების ოპერატიული დამუშავების საკითხებზე.

კვლევის პრაქტიკული ნაწილი დაფუძნებულია ქართულ ბიზნეს-სექტორში არსებული პრობლემების ანალიზზე. შეფასებულია სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვისა და კონტროლის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები, რომლებიც უკავშირდება არასრულად ინტეგრირებულ საბუღალტრო სისტემებს, მონაცემთა დაგვიანებულ დამუშავებასა და მარაგების რეალურ დროში კონტროლის სირთულეებს. ანალიზის პროცესში გამოყენებულია საჯაროდ ხელმისაწვდომი პროფესიული ანგარიშები, მარეგულირებელი უწყებების მასალები და ფინანსური მართვის პრაქტიკაში გამოვლენილი ტენდენციები [24].

კვლევის პროცესში გამოყენებულია შედარებითი ანალიზის მეთოდიც, რომლის საფუძველზე შეფასდა საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებული ციფრული მიდგომები და მათი გამოყენების შესაძლებლობა საქართველოში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ERP სისტემების, Cloud Accounting-ისა და AI-ზე დაფუძნებული ანალიტიკური მექანიზმების გავლენას ფინანსური ინფორმაციის სიზუსტესა და მარაგების კონტროლის ეფექტიანობაზე.

კვლევის ლოგიკური ჩარჩო ეფუძნება მოსაზრებას, რომ ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ფრაგმენტული ფუნქციონირება წარმოადგენს მარაგების კონტროლის პრობლემების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს, ხოლო ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებული გამოყენება უზრუნველყოფს ფინანსური ინფორმაციის ოპერატიულობას, გამჭვირვალობასა და მენეჯერული გადანყვეტილებების ხარისხის გაუმჯობესებას.

ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ციფრული ტრანსფორმაციის ძირითადი მიმართულებები

ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ციფრული ტრანსფორმაცია დაკავშირებულია ფინანსური ინფორმაციის დამუშავების, შენახვისა და ანალიზის მექანიზმების ფუნდამენტურ ცვლილებასთან. თუ ტრადიციული მოდელები ძირითადად ორიენტირებული იყო მონაცემთა რეგისტრაციასა და საანგარიშგებო ფუნქციებზე, ინტეგრირებული ციფრული სისტემები ფინანსური ინფორმაციის უწყვეტ დამუშავებასა და რეალურ დროში კონტროლზე დაფუძნებული [25].

ციფრული ტრანსფორმაციის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ERP (Enterprise Resource Planning) სისტემების განვითარება წარმოადგენს. ERP პლატფორმები აერთიანებს ბუღალტრულ აღრიცხვას, საწყობის მართვას, შესყიდვებს, რეალიზაციასა და ფინანსურ ანალიზს ერთიან მონაცემთა ბაზაში, რაც ამცირებს ინფორმაციის ფრაგმენტულობას და აუმჯობესებს ფინანსური მონაცემების სიზუსტეს [26].

ERP სისტემების გამოყენება განსაკუთრებული ეფექტს იძლევა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მართვის პროცესში. ინტეგრირებული მოდელის პირობებში ნებისმიერი სასაქონლო მოძრაობა ავტომატურად

აისახება როგორც საწყობის მონაცემებში, ისე ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს მიდგომა ამცირებს მონაცემთა დუბლირებას, აჩქარებს თვითღირებულების გაანგარიშებას და ზრდის მარაგების კონტროლის ეფექტიანობას.

ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში მზარდ როლს იძენს ხელოვნური ინტელექტისა (AI) და პროცესების რობოტიზებული ავტომატიზაციის (RPA) გამოყენება. ეს ტექნოლოგიები განსაკუთრებით ეფექტიანია რუტინული ოპერაციების ავტომატიზაციის, ანომალიების აღმოჩენისა და მონაცემთა ანალიტიკური დამუშავების მიმართულებით [27]. AI-ზე დაფუძნებული სისტემები შესაძლებლობას იძლევა ავტომატურად გამოვლინდეს მარაგების მოძრაობაში ატიპიური ცვლილებები, რაც ამცირებს ფინანსური შეცდომებისა და არაეფექტური მართვის რისკს.

ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ტრანსფორმაციას დამატებით აძლიერებს Cloud Accounting-ის განვითარება, რომელიც მონაცემთა დისტანციური ხელმისაწვდომობისა და მრავალფუნქციური ინტეგრაციის შესაძლებლობას ქმნის [28]. ეს მიდგომა განსაკუთრებით ხელსაყრელია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რადგან ამცირებს ინფრასტრუქტურულ დანახარჯებს და ზრდის ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების კონტროლის პრობლემები საქართველოში

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ეფექტიანი კონტროლი ფინანსური მართვის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და ამავე დროს კრიტიკულ მიმართულებას წარმოადგენს. მარაგების აღრიცხვის სიზუსტე პირდაპირ გავლენას ახდენს თვითღირებულების განსაზღვრაზე, ფასნარმოქმნაზე, მოგების მაჩვენებლებზე და საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებაზე [29]. აღნიშნულის მიუხედავად, ქართულ ბიზნეს-სექტორში მარაგების კონტროლის პროცესში კვლავ მრავალი სისტემური ხარვეზი ფიქსირდება.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ მრავალი კომპანია კვლავ იყენებს ფრაგმენტულ საბუღალტრო სისტემებს, სადაც ბუღალტრული აღრიცხვა, საწყობის მართვა და რეალიზაციის პროცესები ერთმანეთისგან იზოლირებულად ფუნქციონირებს. ასეთ პირობებში სასაქონლო მოძრაობის შესახებ ინფორმაცია ხშირად დაგვიანებით მუშავდება, რაც ართულებს მარაგების რეალურ დროში კონტროლს და ამცირებს ფინანსური მონაცემების სიზუსტეს.

განსაკუთრებული სირთულე ვლინდება იმ კომპანიებში, სადაც მარაგების აღრიცხვა კვლავ პერიოდული ინვენტარიზაციის მეთოდს ეფუძნება. ეს მიდგომა ვერ უზრუნველყოფს სასაქონლო-მატერიალური მარაგების უწყვეტ მონიტორინგს, რის შედეგადაც იზრდება მონაცემთა ცდომილების, დუბლირებისა და თვითღირებულების არაზუსტი გაანგარიშების რისკი [30]. პრობლემას დამატებით ამწვავებს ის გარემოება, რომ მენეჯმენტი ხშირად ვერ ფლობს ოპერატიულ ინფორმაციას მარაგების ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ.

მარაგების კონტროლის სისუსტე პირდაპირ აისახება

ფასნარმოქმნის პროცესზეც. როდესაც საწარმოს არ გააჩნია ზუსტი ინფორმაცია მარაგების მოცულობისა და თვითღირებულების შესახებ, ფასების განსაზღვრა ხშირ შემთხვევაში ემყარება სავარაუდო ან არასრულ მონაცემებს, რაც ზრდის ფინანსური დანაკარგებისა და არაეფექტიანი გადაწყვეტილებების რისკს.

პრობლემის პრაქტიკული სიმწვავე გამოიკვეთა ბაზარზე არსებული ფასების მონიტორინგისა და მარაგების კონტროლის შეფასების პროცესშიც, სადაც მრავალი ბიზნეს-სუბიექტი მიუთითებდა რეალურ დროში ნაშთების განსაზღვრის სირთულეზე. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ პრობლემა არ შემოიფარგლება მხოლოდ საოპერაციო ან ლოგისტიკური ხარვეზებით და იგი უშუალოდ უკავშირდება ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობასა და მონაცემთა არასრულ ინტეგრაციას.

პრობლემის კიდევ ერთ ასპექტს წარმოადგენს ინფორმაციული ასიმეტრია, რომელიც წარმოიქმნება არასრულყოფილი აღრიცხვის სისტემების პირობებში. ფინანსური ინფორმაციის დაგვიანებული დამუშავება ართულებს როგორც შიდა კონტროლის განხორციელებას, ისე ბიზნეს-პროცესების ანალიტიკურ შეფასებას. ეს გარემოება უარყოფითად აისახება ფინანსური ანგარიშგების ხარისხსა და საწარმოს ფინანსურ გამჭვირვალობაზე [31].

ქართულ ბიზნეს-გარემოში არსებული გამოწვევები ცხადყოფს, რომ სასაქონლო-მატერიალური მარაგების კონტროლის პრობლემა აღარ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ საწყობის მართვის ტექნიკურ ხარვეზად. იგი უკავშირდება ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ინტეგრაციის დაბალ ხარისხს, მონაცემთა არასრულ სინქრონიზაციასა და ციფრული მართვის მექანიზმების არასაკმარის გამოყენებას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების მართვის პროცესში განსხვავება ტრადიციულ და ციფრულ სისტემებს შორის განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ინფორმაციის ოპერატიულობის, მონაცემთა ინტეგრაციისა და ფინანსური კონტროლის ხარისხის მიმართულებით. ციფრული პლატფორმების გამოყენება ამცირებს ინფორმაციის დამუშავების დროს, ზრდის მარაგების კონტროლის სიზუსტეს და აუმჯობესებს მენეჯერული გადაწყვეტილებების ეფექტიანობას. აღნიშნული განსხვავებების სისტემური წარმოჩენის მიზნით წარმოდგენილია შედარებითი ცხრილი N1.

წარმოდგენილი შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ციფრული ინტეგრირებული სისტემები მნიშვნელოვნად აღემატება ტრადიციულ მოდელებს როგორც ინფორმაციის ოპერატიულობის, ისე ფინანსური კონტროლის ხარისხის მიმართულებით. განსაკუთრებით თვალსაჩინოა განსხვავება მარაგების რეალურ დროში კონტროლის, თვითღირებულების გაანგარიშებისა და ანალიტიკური შესაძლებლობების ნაწილში. ტრადიციული სისტემების პირობებში მონაცემთა ფრაგმენტულობა და დაგვიანებული დამუშავება ზრდის ფინანსური ცდომილებების რისკს, ხოლო ინტეგრირებული ციფრული პლატფორმები უზრუნველყოფს ინფორმაციის

ცხრილი 1. ტრადიციული და ციფრული მარაგების მართვის სისტემების შედარებითი დახასიათება

კომპონენტი	ტრადიციული სისტემა	ციფრული ინტეგრირებული სისტემა
ნაშთების განახლება	პერიოდული	რეალურ დროში
მონაცემთა ბაზა	ფრაგმენტული	ინტეგრირებული
თვითღირებულების კონტროლი	დაგვიანებული	ავტომატიზებული
შეცდომების რისკი	მაღალი	შემცირებული
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	შეზღუდული	უწყვეტი
ფასწარმოქმნის სიზუსტე	არასტაბილური	მაღალი
ანალიტიკური შესაძლებლობები	შეზღუდული	გაფართოებული
მენეჯერული რეაგირება	დაგვიანებული	ოპერატიული

წყარო: შედგენილია ავტორების მიერ.

უწყვეტ განახლებასა და მენეჯერული გადაწყვეტილებების უფრო მაღალ ეფექტიანობას.

ციფრული ტექნოლოგიების გავლენა სასაქონლო-მატერიალური მარაგების კონტროლის ეფექტიანობაზე

სასაქონლო-მატერიალური მარაგების მართვის პროცესში ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციამ არსებითად შეცვალა ფინანსური ინფორმაციის დამუშავებისა და კონტროლის მექანიზმები. ERP სისტემების, ხელოვნური ინტელექტისა და Cloud Accounting-ის გამოყენება საშუალებას იძლევა მარაგების მოძრაობა აისახოს რეალურ დროში, რაც ამცირებს ინფორმაციულ ასიმეტრიას და ზრდის ფინანსური მონაცემების სიზუსტეს [1].

ERP პლატფორმების ერთ-ერთ ძირითად უპირატესობას წარმოადგენს სხვადასხვა საოპერაციო პროცესის ერთიან მონაცემთა ბაზაში გაერთიანება. ეს უზრუნველყოფს სანაწარმის, რეალიზაციის, შესყიდვებისა და ბუღალტრული აღრიცხვის სინქრონიზებულ ფუნქციონირებას, რის შედეგადაც ნებისმიერი სასაქონლო მოძრაობა ავტომატურად აისახება როგორც მარაგების მონაცემებში, ისე ფინანსურ ანგარიშგებაში [18].

მარაგების კონტროლის ეფექტიანობაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაც. AI-ზე დაფუძნებული ანალიტიკური სისტემები საშუალებას იძლევა გამოვლინდეს მარაგების მოძრაობაში ატივიური ცვლილებები, დუბლირებული ოპერაციები და ფინანსური ანომალიები [10]. აღნიშნული მიდგომა ამცირებს როგორც ადამიანური შეცდომების, ისე ფინანსური დანაკარგების რისკს. თუ სასაქონლო გასავალი მნიშვნელოვნად განსხვავდება სისტემაში არსებული ფინანსური მონაცემებისგან, სისტემა ავტომატურად აგენერირებს შესაბამის შეტყობინებას, რაც მენეჯმენტს ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება.

Cloud Accounting-ის გამოყენება დამატებით აუმჯობესებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ოპერატი-

ულობას. ღრუბლოვანი პლატფორმებზე დაფუძნებული სისტემები კომპანიებს საშუალებას აძლევს დისტანციურად მართონ ფინანსური ინფორმაცია, განახორციელონ მრავალმხრივი კონტროლი და დროულად მიიღონ მონაცემები მარაგების მდგომარეობის შესახებ [15].

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება თვითღირებულების გაანგარიშების პროცესშიც განსაკუთრებულ ეფექტს იძლევა. ინტეგრირებული სისტემები ავტომატურად ამუშავებს მარაგების მოძრაობასთან დაკავშირებულ მონაცემებს, რაც ზრდის ფინანსური ანალიზის სიზუსტეს და ამცირებს არაეფექტიანი ფასწარმოქმნის რისკს.


თანამედროვე ციფრული პლატფორმები ეტაპობრივად აყალიბებს მონაცემებზე დაფუძნებული მართვის (data-driven management) მოდელს, სადაც მენეჯერული გადაწყვეტილებები ოპერატიულ ფინანსურ და ანალიტიკურ ინფორმაციას ეფუძნება.

ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია მრავალმხრივ გავლენას ახდენს სასაქონლო-მატერიალური მარაგების კონტროლის ეფექტიანობაზე. აღნიშნული გავლენა განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ფინანსური ინფორმაციის ოპერატიულობის, მონაცემთა სიზუსტის, ანალიტიკური შესაძლებლობებისა და მენეჯერული გადაწყვეტილებების ხარისხის მიმართულებით. ციფრული სისტემების ფუნქციური ეფექტიანობის შეფასების მიზნით წარმოდგენილია შესაბამისი დიაგრამა N1.

წარმოდგენილი დიაგრამა ნათლად ასახავს განსხვავებას ტრადიციულ და ციფრულ ინტეგრირებულ სისტემებს შორის სასაქონლო-მატერიალური მარაგების კონტროლის მიმართულებით. ანალიზი ცხადყოფს, რომ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება აუმჯობესებს ინფორმაციის ოპერატიულობას, ფინანსური მონაცემების სიზუსტესა და მენეჯერული კონტროლის ხარისხს.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა განსხვავება რეალურ დროში მარაგების კონტროლის, ანალიტიკური შესაძლებლობებისა და შეცდომების პრევენციის მიმართულებით, სადაც ინტეგრირებული ERP და AI-ზე დაფუძნებული სისტემები ტრადიციულ მოდელთან შედარებით გაცილებით მაღალ ეფექტიანობას ავლენს.

დიაგრამა 1. ციფრული ტექნოლოგიების გავლენა სასაქონლო-მატერიალური მარაგების კონტროლის ეფექტიანობაზე



წყარო: შედგენილია ავტორების მიერ.

ეს გარემოება მიუთითებს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ციფრული ტრანსფორმაცია პირდაპირ გავლენას ახდენს ფინანსური მართვის ხარისხსა და ბიზნეს-პროცესების ეფექტიანობაზე.

კვლევის შედეგები და მსჯელობა

პრაქტიკული დაკვირვებები და კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ არასრულად ინტეგრირებული საბუღალტრო სისტემები ქართულ ბიზნეს-სექტორში კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

ანალიზის პროცესში გამოიკვეთა, რომ მრავალი საწარმო მარაგების აღრიცხვას კვლავ ფრაგმენტულად ახორციელებს, სადაც საწყობის, რეალიზაციისა და ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები ერთმანეთთან სრულად სინქრონიზებული არ არის. ეს გარემოება ართულებს მარაგების რეალურ დროში კონტროლს და ზრდის ფინანსური ინფორმაციის დაგვიანების რისკს. შედეგად, საწარმოებს უჭირთ თვითღირებულების ზუსტი განსაზღვრა, რაც უარყოფითად აისახება ფასწარმოქმნის პროცესსა და ფინანსური ანალიზის ხარისხზე [9]. მარაგების კონტროლის სისუსტე პირდაპირ აისახება ფასწარმოქმნის პროცესზეც. როდესაც საწარმოს არ გააჩნია ზუსტი ინფორმაცია მარაგების მოცულობისა და თვითღირებულების შესახებ, ფასების განსაზღვრა ხშირ შემთხვევაში ემყარება სავარაუდო ან არასრულ მონაცემებს, რაც ზრდის ფინანსური დანაკარგებისა და არაეფექტიანი გადაწყვეტილებების რისკს.

აღნიშნული გარემოებები ცხადყოფს, რომ სასაქონ-

ლო-მატერიალური მარაგების კონტროლის პრობლემა აღარ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ საწყობის მართვის ტექნიკურ ან ლოგისტიკურ ხარვეზად. იგი უკავშირდება ფინანსური ინფორმაციის მართვის სისტემურ სისუსტეებს, მონაცემთა ინტეგრაციის დაბალ ხარისხსა და ციფრული მართვის მექანიზმების არასაკმარის გამოყენებას.

კვლევის შედეგები ასევე აჩვენებს, რომ ERP სისტემების გამოყენება ამცირებს მონაცემთა დუბლირებას და აუმჯობესებს ინფორმაციის ოპერატიულ დამუშავებას. ინტეგრირებული ციფრული პლატფორმების პირობებში ნებისმიერი სასაქონლო მოძრაობა ავტომატურად აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც უზრუნველყოფს მარაგების კონტროლის უფრო მაღალ ხარისხს და ამცირებს ინფორმაციის ფრაგმენტულობას [18].

ანალიზის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობებს. დადგინდა, რომ AI-ზე დაფუძნებული ანალიტიკური სისტემები ეფექტიანად ახდენს მარაგების მოძრაობაში ატიპიური ცვლილებების იდენტიფიცირებას, რაც ამცირებს ფინანსური შეცდომებისა და არაეფექტიანი მართვის რისკს. მსგავსი სისტემები განსაკუთრებით ეფექტიანია იმ პირობებში, როდესაც საწარმო ახორციელებს მრავალრიცხოვან სასაქონლო ოპერაციებს და ინფორმაციის დამუშავება დიდ მოცულობას მოიცავს [10].

კვლევის შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ Cloud Accounting-ის გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და მენეჯერული კონტროლის მოქნილობას. ღრუბლოვან

პლატფორმებზე დაფუძნებული სისტემები კომპანიებს საშუალებას აძლევს ოპერატიულად მიიღონ ინფორმაცია მარაგების მდგომარეობის, გაყიდვების დინამიკისა და ფინანსური მაჩვენებლების შესახებ, რაც აუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს [15].

განსაკუთრებული ყურადღება საჭიროებს მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორი, სადაც ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ სექტორში ძირითად ბარიერებს წარმოადგენს ფინანსური რესურსების შეზღუდულობა, კვალიფიციური კადრების დეფიციტი და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობა. ეს ფაქტორები აფერხებს ინტეგრირებული ERP სისტემებისა და მონაცემთა ავტომატიზებული მართვის მექანიზმების დანერგვას.

ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სასაქონლო-მატერიალური მარაგების კონტროლის პრობლემა საქართველოში მხოლოდ ტექნიკური ხასიათის გამოწვევა აღარ არის. იგი უკავშირდება ფინანსური მართვის სისტემების ორგანიზაციულ, ტექნოლოგიურ და ანალიტიკურ სისუსტეებს. შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ციფრული ტრანსფორმაცია უნდა განიხილებოდეს არა როგორც ცალკეული პროგრამული განახლება, არამედ როგორც ბიზნეს-პროცესების კომპლექსური მოდერნიზაციის საფუძველი.

რეკომენდაციები და განვითარების პერსპექტივა

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სასაქონლო-მატერიალური მარაგების კონტროლის ეფექტიანობის ზრდა პირდაპირ არის დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ინტეგრირებულ ციფრულ ტრანსფორმაციასთან. შესაბამისად, ქართულ ბიზნეს-სექტორში აუცილებელია ისეთი მიდგომების დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფს ფინანსური ინფორმაციის ოპერატიულობას, მონაცემთა სინქრონიზაციასა და მენეჯერული კონტროლის გაუმჯობესებას.

კვლევის ერთ-ერთ შეზღუდვას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ანალიზი ძირითადად ეფუძნება საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურის, პროფესიული ანგარიშებისა და პრაქტიკული დაკვირვებების შეფასებას. სამომავლო კვლევებში მიზანშეწონილია რაოდენობრივი მონაცემებისა და სექტორული ემპირიული კვლევის უფრო ფართოდ გამოყენება, რაც სასაქონლო-მატერიალური მარაგების კონტროლის ეფექტიანობის უფრო სიღრმისეულ შეფასებას უზრუნველყოფს.

ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ERP სისტემების ფართო ინტეგრაცია. ინტეგრირებული პლატფორმების გამოყენება შესაძლებლობას იძლევა ერთიან სისტემაში გაერთიანდეს ბუღალტრული აღრიცხვა, მარაგების მართვა, რეალიზაცია და ფინანსური ანალიზი, რაც ამცირებს ინფორმაციის ფრაგმენტულობას და აუმჯობესებს ფინანსური მონაცემების სიზუსტეს [18].

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მცირე

და საშუალო ბიზნესის სექტორს, სადაც ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის პროცესი შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს. მიზანშეწონილია სახელმწიფოსა და პროფესიული ინსტიტუტების მხრიდან ხელშეწყობის მექანიზმების განვითარება, მათ შორის:

- ციფრული ტრანსფორმაციის მხარდამჭერი საგრანტო პროგრამები;
- ERP სისტემების დანერგვის თანადაფინანსება;
- პროფესიული გადამზადების პროგრამები;
- Cloud Accounting-ის გამოყენების პოპულარიზაცია.

ფინანსური ინფორმაციის სიზუსტისა და მარაგების კონტროლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის პერსპექტიულ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს ხელოვნური ინტელექტისა და ანალიტიკური ალგორითმების უფრო ფართო გამოყენებაც. AI-ზე დაფუძნებული სისტემები შესაძლებლობას იძლევა ავტომატურად გამოვლინდეს ფინანსური ანომალიები, მარაგების მოძრაობაში ატიპიური ცვლილებები და მონაცემთა შეუსაბამობები, რაც ამცირებს ფინანსური რისკების დონეს.

კვლევის პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ ციფრული ტრანსფორმაციის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კვალიფიციური ადამიანური რესურსების არსებობაზე. შესაბამისად, პროფესიული განათლების სისტემაში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს:

- ERP სისტემების პრაქტიკულ გამოყენებას;
- მონაცემთა ანალიტიკას;
- ციფრულ ფინანსურ მართვას;
- AI ტექნოლოგიების გამოყენებას ბუღალტრულ აღრიცხვაში.

სამომავლოდ განსაკუთრებული პერსპექტივა აქვს ბლოკჩეინ-ტექნოლოგიების გამოყენებას ფინანსური ინფორმაციის მართვის პროცესში. „სამმაგი ჩანერის“ (Triple-entry Accounting) კონცეფციის განვითარება შესაძლებლობას ქმნის ფინანსური მონაცემები აისახოს უცვლელ და გამჭვირვალე ციფრულ რეესტრში, რაც ამცირებს მონაცემთა მანიპულირების რისკს და ზრდის ფინანსური ანგარიშგების სანდოობას.

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ციფრული ტრანსფორმაცია სასაქონლო-მატერიალური მარაგების კონტროლის ეფექტიანობის ზრდის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას წარმოადგენს. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქართულ ბიზნეს-სექტორში კვლავ ფართოდ არის გავრცელებული ფრაგმენტული აღრიცხვის სისტემები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს მარაგების მოძრაობის, ფინანსური ინფორმაციისა და საოპერაციო პროცესების სრულ ინტეგრაციას. ეს გარემოება ართულებს მარაგების რეალურ დროში კონტროლს, ამცირებს ფინანსური მონაცემების სიზუსტეს და ზრდის მენეჯერული გადაწყვეტილებების რისკს.

კვლევის პროცესში დადგინდა, რომ ERP სისტემების, ხელოვნური ინტელექტის, Cloud Accounting-ისა და სხვა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება აუმჯობესებს ფინანსური ინფორმაციის ოპერატიულობას, ამცირებს

ინფორმაციულ ასიმეტრიას და ზრდის ფინანსური კონტროლის ხარისხს. ინტეგრირებული ციფრული პლატფორმები უზრუნველყოფს მონაცემთა უწყვეტ დამუშავებასა და ანალიტიკური შესაძლებლობების გაფართოებას, რაც სასაქონლო-მატერიალური მარაგების მართვას უფრო ეფექტიანსა და გამჭვირვალეს ხდის.

ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ სასაქონლო-მატერიალური მარაგების კონტროლის პრობლემა აღარ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ საოპერაციო ან ლოგისტიკურ გამონვევად. იგი დაკავშირებულია ფინანსური ინფორმაციის მართვის სისტემურ სისუსტეებთან, მონაცემთა არასრულ ინტეგრაციასა და ციფრული მართვის მექანიზმების არასაკმარის გამოყენებასთან.

კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ სასაქონლო-მატერიალური მარაგების კონტროლის პრობლემები განხილულია არა მხოლოდ საოპერაციო ან ლოგისტიკური ქრილიდან, არამედ ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ციფრული ინტეგრაციის კონტექსტში. სტატიაში ციფრული ტრანსფორმაცია წარმოდგენილია როგორც ფინანსური ინფორმაციის ხარისხის, მარაგების კონტროლის ეფექტიანობისა და მენეჯერული გადაწყვეტილებების გაუმჯობესების კომპლექსური მექანიზმი.

ციფრული აღრიცხვის სისტემების განვითარება ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს კორპორაციული გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და თანამედროვე ESG პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ციფრული ტრანსფორმაცია საქართველოში უნდა განიხილებოდეს არა როგორც ტექნოლოგიური მოდერნიზაციის ცალკეული პროცესი, არამედ როგორც ფინანსური მართვის, საოპერაციო კონტროლისა და ბიზნეს-პროცესების ეფექტიანობის გაუმჯობესების საფუძველი. აღნიშნული მიმართულებით პროგრესი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფინანსური გამჭვირვალობის ზრდას, რესურსების უფრო ეფექტიან მართვასა და ბიზნეს-გარემოს მდგრად განვითარებასა და თანამედროვე ციფრული ეკონომიკის მოთხოვნებთან ეფექტიან ადაპტაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Appelbaum, D., Kogan, A., Vasarhelyi, M., & Yan, Z. (2017). Impact of business analytics and enterprise systems on managerial accounting. *International Journal of Accounting Information Systems*, 25, 29–44;
2. Bhimani, A. (2020). Digital Data and Management Accounting: Transformation, Myth, or Reality? *Management Accounting Research*;
3. Christensen, C. M. (2016). *The Innovator's Dilemma: When New Technologies Cause Great Firms to Fail*. Harvard Business Review Press;
4. Dai, J., & Vasarhelyi, M. A. (2017). Toward Blockchain-Based Accounting and Assurance. *Journal of Information Systems*, 31(3), 5–21;
5. Davenport, T. H. (2019). *The AI Advantage: How to Put*

- the Artificial Intelligence Revolution to Work. MIT Press;
6. Deloitte. (2023). *The Future of the Finance Function in the Digital Era*;
7. Gartner. (2024). *Top Strategic Technology Trends for 2024*;
8. ICAEW. (2023). *Blockchain and the Future of Corporate Reporting*;
9. Kieso, D. E., Weygandt, J. J., & Warfield, T. D. (2022). *Intermediate Accounting*. Wiley;
10. Kokina, J., & Davenport, T. H. (2017). The Emergence of Artificial Intelligence in Accounting and Auditing. *Accounting Horizons*, 31(3), 115–122;
11. Lacity, M. C. (2018). Addressing Myths about Blockchain Business Solutions. *MIS Quarterly Executive*;
12. Marr, B. (2022). *Future Strategy: AI and the Automation of Professional Services*;
13. McKinsey Global Institute. (2023). *The Promise and Challenge of the Age of Artificial Intelligence*;
14. Moffitt, K. C., Rozario, A. M., & Vasarhelyi, M. A. (2018). Robotic Process Automation for Auditing. *Journal of Emerging Technologies in Accounting*, 15(1), 1–10;
15. OECD. (2024). *Tax Administration in the Digital Age*;
16. Porter, M. E., & Heppelmann, J. E. (2014). *How Smart, Connected Products Are Transforming Competition*. Harvard Business Review;
17. PwC. (2024). *Global Economic Crime and Fraud Survey: The Digital Evolution*;
18. Rom, A., & Rohde, C. (2007). Management Accounting and Integrated Information Systems: A Literature Review. *International Journal of Accounting Information Systems*, 8(1), 40–68;
19. Schwab, K. (2017). *The Fourth Industrial Revolution*. World Economic Forum;
20. Sutton, S. G. (2006). Enterprise Systems and the Reshaping of Accounting Services. *International Journal of Accounting Information Systems*;
21. World Economic Forum. (2023). *The Future of Jobs Report*;
22. Yermack, D. (2017). *Corporate Governance and Blockchains*. *Review of Financial Studies*;
23. Zuboff, S. (2019). *The Age of Surveillance Capitalism*. PublicAffairs;
24. საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (SARAS). (2024). *წლიური ანგარიში*;
25. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2024). *ლია საბანკო სისტემის განვითარების ანგარიში*;
26. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (2024). *ფინანსური სექტორის ციფრულიზაციის სტრატეგიული მიმართულებები*;
27. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). *საწარმოთა საქმიანობის სტატისტიკური ანგარიში*;
28. საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო. (2024). *ფასების მონიტორინგისა და ბაზრის შეფასების ანგარიში*.